2024-2025 წწ

პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი

''საზღვაო, სასწავლო, საწვრთნელი
ცენტრი ეკვატორი''

პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი

სარჩევი

კოლეჯის შესახებ....2
კოლეჯთან კომუნიკაცია....2
სასწავლო პროცესი....3
პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება....4
პროფესიული სტუდენტის უფლება მოვალეობები....4
უფლებები:....4
ვალდებულებები:....4
სწავლის შედეგების შეფასება....4
შუალედური შეფასება....5
საკვალიფიკაციო გამოცდა....5
პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება....5
პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა....6
პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა....6
მობილობა....6
კვალიფიკაციის მინიჭება და პროფესიული დიპლომი....7
ადმინისტრაციული მხარდაჭერა....7
სამედიცინო დახმარება....8
უსაფრთხოების დაცვა....8
კარიერული განვითარების მხარდაჭერა....8
ბიბლიოთეკა....8
კომპიუტერული ოთახი....9
სტუდენტური აქტივობები....9
გისურვებთ წარმატებას....9

კოლეჯის შესახებ

შპს ,,საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“ დაარსდა 2009 წელს; 2010 წლიდან ცენტრში დანერგილია ხარისხის მართვის სისტემა საერთაშორისო სტანდარტის **ISO 9001-2008** შესაბამისად და მას გააჩნია ISO–სა და ასევე IQnet – ის სერტიფიკატები; 2014 წელს კოლეჯმა მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი ავტორიზაციის გზით. კოლეჯი წარმოადგენს საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების სფეროს პროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას; კოლეჯი საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების სფეროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გარდა ახორციელებს მოქმედი მეზღვაურების გადამზადებასა და სერტიფიცირებას;

შპს “სსსც ეკვატორი“ შედის საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის შემადგენლობაში ასოცირებული წევრის სტატუსით; ჩვენთან ასწავლიან საზღვაო დარგის გამოცდილი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, კაპიტნები და უფროსი მექანიკოსები, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ სწავლების პროცესი აკმაყოფილებდეს თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი აკმაყოფილებს არა მარტო პროგრამებით დადგენილ პირობებს, არამედ საზღვაო სფეროში არსებულ საერთაშორისო კონვენციებით და სტანდარტებით განსაზღვრულ საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს.

მისია

კოლეჯის მისიაა საზოგადოებას შევთავაზოთ:

-მრავალწლიან გამოცდილებაზე დაფუძნებული და თანამედროვე სასწავლო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე განხორციელებული საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების სფეროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც მოამზადებენ შრომის შიდა და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციების მქონე, კონკურენტუნარიან მეზღვაურებს;

–სოციალური ინკლუზიის, პიროვნული და პროფესიული განვითარებისა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშემწყობი გარემო;

ხედვა

ჩვენი ხედვაა შევინარჩუნოთ და გავაუმჯობესოთ კოლეჯის, როგორც საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების სფეროში ერთ-ერთი წარმატებული, კონკურენტუნარიანი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეპუტაცია.

ღირებულებები

კოლეჯის უნიკალურ გამოცდილებას განსაზღვრავს ღირებულებები, რომლებიც ეფუძნება გუნდური მუშაობის, ეთიკური და პასუხისმგებლიანი ქცევის, განვითარებისკენ მუდმივი სწრაფვისა და პროფესიონალიზმის, საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების დარგისადმი ერთგულების პრინციპებს. მისიის უზრუნველსაყოფად კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს პროფესიულ სტუდენტებთან, მსმენელებთან, პერსონალთან, დამსაქმებლებთან, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან და საზოგადოების სხვა დაინტერესებულ წრეებთან.

კოლეჯთან კომუნიკაცია

XXI საუკუნეში ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გარეშე წარმოუდგენელია პირადი და საქმიანი ურთიერთობა, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დროულად უზრუნველყოთ თქვენი კომპიუტერები და/ან ტელეფონები შემდეგი საკომუნიკაციო პლატფორმებით: Google Gmail, Facebook, Viber/Whatsapp. ამ არხებით თქვენ მიიღებთ კოლეჯიდან მნიშვნელოვან ინფორმაციებს, სიახლეებს, სასწავლო რესურსებს.

სსსც ეკვატორის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა: info@equator.ge contact.equator1@gmail.com

გაითვალისწინეთ! ელექტრონული ფოსტით ინფორმაციის (დოკუმენტი, სიახლე, საორგანიზაციო შეტყობინება და სხვა) გაგზავნის შემდეგ - კოლეჯი იხსნის პასუხისმგებლობას ამ ადრესატისათვის ინფორმაციის მიწოდების თაობაზე; კოლეჯის ვებგვერდი: www.equator.ge;

კოლეჯის ფეისბუქი: ‘’ საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი’’;

https://www.facebook.com/profile.php?id=100063479590912

კოლეჯის ტელ ნომერი: +995 579 26 43 43;

მისამართი: ქ.ბათუმი, შავშეთის 33.

სასწავლო პროცესი

კოლეჯში, სასწავლო პროცესი დაგეგმილია წინასწარ მომზადებული და დამტკიცებული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

მეცადინეობის დღეებია: ორშაბათი, სამშბათი, ოთხშაბათი, პარასკევი და შაბათი. დასვენების დღე -კვირა, ასევე შრომის კოდექსით დადგენილი და კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული უქმე დღეები:

14 ოქტომბერი - მცხეთობა (სვეტიცხოვლობა);

23 ნოემბერი - გიორგობა;

1 და 2 იანვარი - ახალი წლის სადღესასწაულო დღეები;

7 იანვარი- ქრისტეს შობა;

19 იანვარი- ნათლისღება, იესო ქრისტეს გაცხადების დღე;

3 მარტი- დედის დღე;

8 მარტი- ქალთა საერთაშორისო დღე;

9 აპრილი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე;

18 აპრილი- დიდი პარასკევი;

19 აპრილი - დიდი შაბათი;

20 აპრილი - აღდგომა;

21 აპრილი - მიცვალებულთა მოხსენიების დღე – აღდგომის მეორე დღე;

9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღე;

12 მაისი - წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე;

17 მაისი -ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე;

26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე;

28 აგვისტო - ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე (მარიამობა);

პროფესიულ პროგრამებზე სწავლება მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ კომპონენტს.

მეცადინეობის ცხრილი თქვენთვის ხელმისაწვდომი იქნება საინფორმაციო დაფაზე და სოციალური ქსელის ჯგუფში, რომელიც შიქმნება სწავლის დაწყებისთანავე.

გაითვალისწინეთ!

მეცადინეობების 60%-ზე მეტის გაცდენის შემთხვევაში, კოლეჯის რეგულაციების შესაბამისად - შეგიჩერდებათ სტუდენტის სტატუსი

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. პროფესიული სტუდენტი არის პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. პროფესიული სტუდენტობის კანდიდატი არის პირი, რომელსაც აქვს სრული ზოგადი, საბაზო ან უმაღლესი განათლება.
2. პირს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი კოლეჯის დირექტორის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ ბრძანების გამოცემის, მასთან ხელშეკრულების გაფორმებისა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში ასახვის შემდეგ.
3. დირექტორის მიერ სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა შესაბამისი მონაცემები უნდა აისახოს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

პროფესიული სტუდენტის უფლება მოვალეობები

უფლებები:

1. სტუდენტს აქვს უფლება მიიღოს მის ინტერესებზე მორგებული ხარისხიანი განათლება და მონაწილეობა მიიღოს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საქმიანობაში.
2. აკრძალულია სტუდენტის უფლებების შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე ეხება დისციპლინის, უსაფრთხოების ან კოლეჯის მიზნებთან შეუთავსებელი ქმედებების აღკვეთას.
3. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:
    - მოითხოვოს კოლეჯის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
    - ისარგებლოს სასწავლო და დამხმარე რესურსებით (ბიბლიოთეკა, საინფორმაციო სისტემები და სხვ.);
    - მიიღოს სრული ინფორმაცია თავისი უფლებების, პროგრამებისა და რესურსების შესახებ;
    - თავისუფლად გამოხატოს აზრი და უარი თქვას არასასურველი იდეების გაზიარებაზე;
    - ჩაერთოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შედგენაში;
    - მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესის შეფასებაში.

ვალდებულებები:

1. დაიცვას კანონმდებლობა და კოლეჯის შიდა წესები;
2. შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამით და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
3. დაიცვას სხვათა უფლებები და კანონიერი ინტერესები;
4. მოერიდოს პლაგიატს და გამოიყენოს მხოლოდ საკუთარი ნაშრომი;
5. გაუფრთხილდეს კოლეჯის ინფრასტრუქტურას;
6. არავითარ შემთხვევაში არ დააზიანოს კოლეჯის რეპუტაცია.

სწავლის შედეგების შეფასება

პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით.

განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად.

პროფესიული პროგრამა შედგება მოდულებისაგან. კვალიფიკაციის მინიჭების (ანუ დიპლომის აღების) წინაპირობას წარმოადგენს სტუდენტის მიერ შესაბამისი საგანმანთლებლო პროგრამის

მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადასტურება, ანუ კრედიტიების მოპოვება და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

მოდულის დადასტურება ნიშნავს შეფასების პროცესში დადებითი შედეგის მიღებას. შეფასებაზე უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში თქვენ გაქვთ უფლება პროგრამის დასრულებამდე გახვიდეთ განმეორებით შეფასებაზე თუ მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას.

თქვენ გაქვთ უფლება გააპროტესტოთ მიღებული შედეგი. ამისათვის განცხადებით უნდა მიმართოთ კოლეჯის დირექტორს და თქვენს საჩივარს განიხილავს სპეციალური კომისია.

შუალედური შეფასება

პროფესიული პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე თქვენ ჩაგიტარდებათ შუალედური შეფასება, რომლის დროსაც შემოწმდება, თუ როგორ აითვისეთ სწავლის პერიოდში გავლილი მასალა. შუალედურ შეფასებას ჩაატარებს სპეციალური კომისია.

გაითვალისწინეთ! სტუდენტი, რომელიც არ მიიღებს მონაწილეობას კოლეჯის მიერ ორგანიზებულ შუალედურ შეფასებაში, არ დაიშვება საკვალიფიკაციო გამოცდაზე და შეუწყდება სტუდენტის სტატუსი.

საკვალიფიკაციო გამოცდა

ყველა პროფესიული პროგრამის დასასრულს ჩატარდება საკვალიფიკაციო გამოცდა. სტუდენტს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს ამ გამოცდას, მიენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და გადაეცემა დიპლომი. საკვალიფიკაციოო გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ის სტუდენტი, რომლიც სწავლის პერიოდში დაადასტურებს პროგრამით განსაზღვრულ ყველა მოდულს და მონაწილეობას მიიღებს შუალედურ შეფასებაში. საკვალიფიკაციო გამოცდას ჩაატარებს საკვალიფიკაციო კომისია.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად ითვლება კოლეჯსა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

სტატუსის შეჩერება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

- სტუდენტის პირადი განცხადებით;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, ორსულობის ან ახალშობილის მოვლის საჭიროებისას;
- ფინანსური დავალიანების არსებობისას;
- 60%-ზე მეტი გაცდენის შემთხვევაში;
- სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის ძალაში შესვლისას (თუ სასჯელის ფორმა შეუთავსებელია სწავლებასთან);
- კოლეჯის შიდა წესებში მითითებული სხვა გარემოებების საფუძველზე.

📌 **მნიშვნელოვანია:**

- სტატუსის შეჩერება არ ნიშნავს სტატუსის დაკარგვას — სწავლა შესაძლებელია განახლდეს.
- სტატუსის შეჩერება მაქსიმუმ **5 წლის ვადით** არის შესაძლებელი. თუ ამ ვადაში არ აღდგება სტატუსი — ის ავტომატურად შეწყდება.
- სტატუსის აღდგენისას სტუდენტს ეთვლება მანამდე დაგროვებული კრედიტები და სწავლას განაგრძობს ინდივიდუალური გეგმით.

სტატუსის შეჩერება და აღდგენა რეგულირდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით და აისახება შესაბამის რეესტრში.

პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი

პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

სტუდენტს შეუძლია სტუდენტის სტატუსის აღდგენა **პირადი განცხადების საფუძველზე**, იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელზეც იგი ადრე სწავლობდა, **თუ კოლეჯი ახორციელებს მიღებას ახალ ნაკადზე**.

სტატუსის აღდგენის შემთხვევაში:

- სტუდენტს უნარჩუნდება სტატუსის შეჩერებამდე დაგროვებული კრედიტები;
- სწავლის გაგრძელება ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით;
- გაიცემა კოლეჯის დირექტორის ბრძანება, ხოლო სტატუსის აღდგენა რეგისტრირდება რეესტრში 5 სამუშაო დღეში.

💡 გაითვალისწინეთ: **სტატუსის შეჩერება და აღდგენა შეიძლება მხოლოდ ერთხელ ერთ პროგრამაზე**.

იმ შემთხვევაში, თუ საწყისი პროგრამა გაუქმებულია ან შეცვლილია, სტუდენტს აქვს უფლება გააგრძელოს სწავლა სხვა პროგრამით ან მობილობით გადავიდეს სხვა დაწესებულებაში მოქმედი წესების შესაბამისად.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეიძლება შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:

- პირადი განცხადება;
- პროფესიული პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
- გარდაცვალება;
- კანონიერ ძალაში შესული განაჩენი პროფესიული სტუდენტის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩადენისათვის, რომელიც ითვალისწინებს 5 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას;
- სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება;
- სასწავლო პერიოდში პროფესიული სტუდენტის აკადემიური ჩამორჩენილობა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა);
- კოლეჯის შინაგანაწესითა და ამ წესით განსაზღვრული შემთხვევები და სხვა საფუძვლები.

📌 სტატუსის შეწყვეტა ნიშნავს, რომ სწავლასთან დაკავშირებული ყველა უფლება და ვალდებულება სრულდება. სტატუსის შეწყვეტის შემდეგ, სტუდენტს **აღარ აქვს** უფლება მოითხოვოს მისი აღდგენა იმავე პროგრამაზე.

💡 შენიშვნა: სტატუსის შეწყვეტა ფორმდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით და რეგისტრირდება რეესტრში არაუგვიანეს 5 დღისა. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით.

მობილობა

მობილობა არის სტუდენტის თავისუფალი გადასვლა ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან ან კოლეჯიდან მეორეში სწავლის გაგრძელების მიზნით, სადაც აღიარება ეძლევა მანამდე მიღწეულ სწავლის შედეგებს და კრედიტებს.

მობილობის განხორციელება შესაძლებელია:

- შიდა მობილობით — კოლეჯის ფარგლებში პროგრამის შეცვლით;
- გარე მობილობით — სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლით.

📍მობილობის უფლება აქვთ:

- მოქმედ სტუდენტებს;
- სტატუსშეჩერებულ პირებს.

მობილობისთვის აუცილებელია:

- ვაკანტური ადგილი არჩეულ პროგრამაზე;
- პროგრამაზე ჩარიცხვის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

📌 გადაწყვეტილება მობილობაზე მიღება ხდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით და აღნიშნული ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით აისახება სისტემაში.

კვალიფიკაციის მინიჭება და პროფესიული დიპლომი

პროფესიული კვალიფიკაცია გენიჭებათ პროფესიული პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ და დასტურდება შესაბამისი დიპლომით.

☑ კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელია:

- პროგრამის ფარგლებში ყველა სავალდებულო მოდულის კრედიტის დაგროვება;
- შუალედურ შეფასებებში მონაწილეობა;
- საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

📄 კვალიფიკაცია გენიჭებათ კოლეჯის დირექტორის ბრძანებით და აისახება სახელმწიფო რეესტრში.

📄 დიპლომთან ერთად გეძლევათ დიპლომის დანართი — დოკუმენტი, რომელიც აჩვენებს თქვენი სწავლის შინაარსსა და შედეგებს (დანართი ცალკე სამართლებრივ ძალას არ ფლობს).

📌 თუკი არ ან ვერ დაასრულეთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული დონე, შეიძლება გადმოგეცეთ დირექტორის მიერ ხელმოწერილი და კოლეჯის ბეჭდით დამოწმებული სათანადო ცნობა.

ადმინისტრაციული მხარდაჭერა

თქვენ უფლება გაქვთ გამოითხოვოთ კოლეჯიდან ინფორმაცია თქვენი სტატუსის ან აკადემიური მოსწრების შესახებ, კოლეჯიდან ამ შინაარსის ცნობას მიიღებთ მოთხოვნიდან 3 დღის ვადაში ყოველგვარი გადასახადის გარეშე. ცნობის გაცემა შესაძლებელია, როგორც მატერიალურად, ასევე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. კოლეჯის ადმინისტრაცია მუდმივად მოგაწვდით ინფორმაციას თქვენს პირად ელერქტრონულ ფოსტაზე ან სოციალური ჯგუფებში დაგეგმილი გამოცდების, მნიშვნელოვანი შეხვედრების, ან ღონისძიებების შესახებ. ასევე ელექტრონულ ფოსტაზე მიიღებთ ინფორმაციას თქვენი სტატუსის ცვლილების შემთხვევაშიც.

გახსოვდეთ! თქვენი პერსონალური მონაცემები წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და დაცულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ნებისმიერი პირადი მონაცემის გადაცემა მესამე პირზე ხდება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან თქვენი თანხმობის საფუძველზე.

გაითვალისწინეთ! თქვენ ვალდებული ხართ მუდმივად შეამოწმოთ თქვენი ელექტრონული ფოსტა და გაეცნოთ კოლეჯიდან მიღებულ ინფორმაციას და სიახლეებს, ასევე ვალდებული ხართ - დაუყოვნებლივ მიაწოდოთ ინფორმაცია კოლეჯს პირადი ტელეფონის ნომრის ან ელექტრონული ფოსტის ცვლილების შემთხვევაში, ვინაიდან ელექტრონული ფოსტით ინფორმაციის (დოკუმენტი, სიახლე, საორგანიზაციო შეტყობინება და სხვა) გაგზავნის შემდეგ, კოლეჯი იხსნის პასუხისმგებლობას ამ ადრესატისათვის ინფორმაციის მიწოდების თაობაზე;

სამედიცინო დახმარება

ჩვენ ვზრუნავთ სტუდენტებისა და პერსონალისათვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისათვის. კოლეჯში მკაცრად კონტროლდება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. შენობის მეორე სართულზე არსებობს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კუთხე, სადაც ინახება პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო ყველა საშუალება. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას უზრუნველყოფს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც ასევე პასუხისმგებელია პირველადი დახმარების საშუალებების შენახვა/მონიტორინგზე. თუ მეცადინეობის, ან შესვენების დროს სტუდენტი თავს შეუძლოდ იგრძნობს, საჭიროა შეატყობინოს ამის შესახებ მასწავლებელს, ან ადმინისტრაციის რომელიმე თანამშრომელს. საჭიროების შემთხვევაში ჩვენ გამოვიძახებთ სასწარაფო სამედიცინო დახმარებას, ან სტუდენტი გათავისუფლდება სამეცადინეო საათიდან.

უსაფრთხოების დაცვა

კოლეჯში რამდენიმე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და ევაკუაციის პროცედურები, რომლის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება. კოლეჯის ტერიტორიაზე შრომისა და სწავლის უსაფრთხო პირობების შექმნაზე და ამ პირობების დაცვაზე ზრუნავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. კოლეჯი აღჭურვილია შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, ცეცხლმაქრებით, რომელიც განთავსებულია სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ დადგენილ ადგილებზე და მისი გამოყენების ინსტრუქცია გამოკრულია აღნიშნულ ინვენტართან. პერსონალისა და სტუდენტებისათვის სისტემატიურად ტარდება უსაფრთხოების სწავლება.

კარიერული განვითარების მხარდაჭერა

იმისათვის, რომ მომავალში გაგიადვილდეთ პროფესიის არჩევა, ჩვენი კოლეჯი ყველა დაინტერესებულ პირს ეხმარება მიიღოს ინფორმაცია სხვადასხვა კომპანიების, მათი მოთხოვნების და აქტიური ვაკანსიების შესახებ. ამ ეტაპისთვის, სსსც ეკვატორს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული, რეგიონში არსებულ 10 ძირითად საკრუინგო კომპანიასთან, რომლებიც მემორანდუმის ფარგლებში ხელს უწყობენ კოლეჯის პროფესიული სტუდენტების დასაქმებას.

სტუდენტების კარიერული მხარდაჭერის მიზნით კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან. კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით კოლეჯის ფეისბუქის გვერდზე და ოფიციალურ საიტზე მუდმივად ქვეყნდება ინფორმაცია სხვადასხვა ვაკანსიების შესახებ ჰეშთეგით #დასაქმებისშესაძლებლობაჩვენიკურსდამთავრებულებისთვის.

კარიერული განვითარების მენეჯერი ეხმარება სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მოიძიონ ვაკანსიები, ჰქონდეთ კომუნიკაცია პოტენციურ დამსაქმებლებთან, უწევს კონსულტაციას და აწვდის კონკრეტულ ინფორმაციას, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგან მათ მომავალი პროფესიული განვთარებისა და კარიერული წინსვლისათვის. დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, დაწესებულებაში პერიოდულად იმართება ღია შეხვედრები სხვადასხვა საკრუინგო კომპანიის წარმომადგენლებთან.

ბიბლიოთეკა

კოლეჯში, მეორე სართულზე არსებობს ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფილია სტუდენტებისთვის საჭირო ყველა სახელმძღვანელოთი, კონსპექტით, თუ სხვა სახის ლიტერატურით. გარდა ბეჭდური ვერსიისა, მკითხველებისათვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის კომპიუტერში ელექტრონული კატალოგი და საბიბლიოთეკო რესურსის ელექტრონული ვერსიები. ყველა მსურველს შეუძლია ისარგებლოს პრინტერით, ასლის გადამღები და სკანერის აპარატით. ბიბლიოეთაკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, რომელთა დაცვა აუცილებლია.

ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება აქვთ ბიბლიოთეკაში გაწევრიანებულ პირებს. კოლეჯის პროფესიული სტუდენტის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება ხდება პროფესიული სტუდენტობის პერიოდში ერთხელ. პროფესიული სტუდენტი, რომელიც ერთხელ გაწევრიანდება სწავლების პერიოდში, რჩება ბიბლიოთეკის წევრად სწავლების მთელი პერიოდისათვის. კოლეჯის პროფესიული სტუდენტისათვის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება უფასოა.

ბიბლიოთეკის ფონდში დაცული მასალა (წიგნი, ჟურნალი, გაზეთი,), რომლებიც ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ ერთი ეგზემპლარი, გამონაკლისის გარეშე, ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა. ასეთი მასალით მკითხველს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს მხოლოდ სამკითხველო დარბაზში, გადაიღოს ასლი.

ბიბლიოთეკა მუშაობს:

ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით: დილის 10:00 სთ-დან – 18:00-მდე.

გაითვალისწინეთ! ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნის დაზიანების, ან დაკარგვის შემთხვევაში თქვენ მოგიწევთ ზიანის ანაზღეურება.

კომპიუტერული ოთახი

კოლეჯის I და II სართულზე არის ორი კომპიუტერული ოთახი (აუდ. 102, აუდ. 208). ამ აუდიტორიებით, ქსელში ჩართული კომპიუტერებით და უკაბელო ინტერნეტით სარგებლობა შეუძლია ყველა მოქმედ სტუდენტს. სასწავლო მიზნებისათვის კომპიუტერული აუდიტორიებით შეგიძლიათ ისარგებლოთ სამეცადინო საათის მიღმაც.

გაითვალისწინეთ! ტექნიკასთან დაუდევრად მოპყრობის და დაზიანების შემთხვევაში, თქვენ მოგიწევთ ზიანის ანაზღეურება.

სტუდენტური აქტივობები

კოლეჯი მუდმივად ცდილობს პროფესიული სტუდენტებისთის საინტერესო და მრავალფეროვანი იყოს სტუდენტური ცხოვრება. ამ მიზნით, კოლეჯი ხელს უწყობს სტუდენტებს სასწავლო გეგმის გარეშე აქტივობების განხორციელებაში. სასწავლო პროცესის მიღმა მათ შეუძლიათ მოსინჯონ ძალები და თავი წარმოაჩინონ სხვადასხვა სახის ღონისძიებებში. სტუდენტებისათვის დასასვენებელი სივრცე.

კოლეჯი ხელს უწყობს კოლეჯის მიზნებსა და საქმიანობის სფეროს შესაბამისი საგანმანათლებლო, სამეცნიერო, შემოქმედებითი, სპორტული, საქველმოქმედო, საექსკურსიო- შემეცნებითი და საზოგადოებრივად სასარგებლო სტუდენტური ინიციატივების განხორციელებას და წახალისებას.

დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაცია განთავსდება სოციალურ ქსელსა და კოლეჯის ვებ-გვერდზე.

მოგიწოდებთ აქტიურად ჩაერთოთ კოლეჯის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, რათა უფრო აქტიური და მრავალფეროვანი გახდეს თქვენი სტუდენტური ცხოვრება.

გისურვებთ წარმატებას